ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- Covid-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვები 02
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 02
- ამოქმედდა ბრძანება სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმასთან დაკავშირებით. 03
- ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში 03
- ცვლილებები საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით 03
- სამშენებლო სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები 04
- გრძელდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ფუნდამენტური ცვლილებების შემცველი კანონპროექტის განხილვა 05
- აღსრულების ახალი კოდექსის პროექტი 05
- რუბრიკა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების მიმართულებით გადაცემა „საქმიან დილაში“ 06

„2021 წლის 5 აპრილის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. Covid-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით ძალაში რჩება შემდეგი შეზღუდვები:

- საცხოვრებელ ადგილზე მოსახლეობის დარჩენის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილების აკრძალვა, როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა.

- 10-ზე მეტი ფიზიკური პირის ისეთი თავშეყრა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ ღონისძიებებთან (მაგ.: ქორწილი, იუბილე, ქელეხი და ა.შ.).

- საჯარო სივრცეში თავშეყრისას ყველა პირი ვალდებულია, ატაროს პირბადე.

შაბათ-კვირის განმავლობაში იზღუდება შემდეგი ეკონომიკური საქმიანობები:

- კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში სტუმრის მიღებით.
- შაბათ-კვირას კვების ობიექტების/ რესტორნების/ ბარების/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ მიტანის მომსახურებითა (ე.წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე.წ. „თეიქ ევეი“ და „დრაივი“), ხოლო სავაჭრო ცენტრებში განთავსებულ კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ მიტანის მომსახურებით (ე.წ. „დელივერი“ სერვისი).

სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების საქმიანობა დასაშვებია:

- საკარანტინე სივრცეების მოწყობის მიზნით;

- საქმიანობა დასაშვებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უშუალოდ ან სხვა რელევანტური უწყებების მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად სამუშაო ადგილებზე ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

სასტუმროების საქმიანობა დასაშვებია არასაკარანტინო მიზნებითაც, თუმცა, ეკონომიკური საქმიანობის ნებართვის მისაღებად აუცილებელია სასტუმროებმა გაიარონ რეგისტრაცია შემდეგ მისამართზე: https://orginspect.moh.gov.ge/#/login.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს ჯანდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შესაძლებელია შეაჩეროს სუბიექტის საქმიანობა, თუ აღმოჩნდება კრიტიკული შეუსაბამობა ჯანდაცვის მინისტრის მიერ დადგენილ რეკომენდაციებთან.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებამოსილება შრომითი უფლებების შეზღუდვის თაობაზე

2021 წლის 11 თებერვალს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით (№1/1/1505,1515,1516,1529) არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 მუხლის პირველი პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს ანიჭებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული შრომითი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეების პოზიცია, და ჩათვალა, რომ გასაჩივრებული ნორმები არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმალურ მოთხოვნას, მოწესრიგებულიყო შრომითი უფლებები ორგანული კანონით. [გადაწყვეტილების პარაგრაფი II,73].

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეებს სხვა ნორმების კონსტიტუციურობაც ჰქონდათ გამხდარი სადავოდ, როგორც ფორმალური (კანონით მთავრობისათვის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების ნაწილში), ისე შინაარსობრივი კუთხით, მოსარჩელეების სხვა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

3. ამოქმედდა ბრძანება სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმასთან დაკავშირებით.

2021 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წლის ოქტომბერს შესული ცვლილების თანახმად დამსაქმებელს დაევალა წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დროისა და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვა და აღრიცხვის დოკუმენტის დასაქმებულთათვის ყოველთვიური გაცნობა.

დამტკიცებული ფორმა მოიცავს მონაცემებს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარ საათების ოდენობის, მათ შორის ზეგანაკვეთურად ნამუშევარ საათებისა და ღამის საათებში ნამუშევარ დროის, შვებულებისა და დასვენების დღეების შესახებ ინფორმაციას ერთ თვიან ჭრილში.

ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა უნდა მოიცავდეს არანაკლებ ბრძანებით განსაზღვრულ მონაცემებს, თუმცა დამსაქმებელი უფლებამოსილია, მიუთითოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან აღრიცხოს სამუშაო დრო ნებისმიერი სხვა ფორმით დადგენილი მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით.

4. „საქართველოს შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები

2021 წლის 1 აპრილიდან საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები საწარმოს გადაცემასთან დაკავშირებით არ ვრცელდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში გადახდისუუნარობისას საწარმოს გადაცემის შემთხვევებზე.

5. ცვლილებები საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ინიცირებულ კანონს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
05.04.2021 მდგომარეობით კანონი მიღებულია მესამე მოსმენით.
აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში:

- ბინადრობის ნებართვის მიღების მიზნებისათვის ვიწროვდება ოჯახის წევრთა წრე. ცვლილების ამოქმედების შემდგომ უცხოელის ოჯახის წევრად აღარ განიხილება სრულწლოვანი შვილი. ოჯახის წევრის სტატუსით ბინადრობის ნებართვის მიღებას შეძლებენ: უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, არასრულწლოვანი უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანის მშობელი; საქართველოს მოქალაქის უცხოელი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი,

მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელი.

- საქართველოში ბინადრობის ნებართვა აღარ გაიცემა უცხოელზე, რომელიც საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების მოთხოვნით განცხადების წარდგენის მომენტისათვის საქართველოში იმყოფება საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების საფუძველზე.
- ბინადრობის ნებართვა, გარდა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვისა და დროებითი ბინადრობის ნებართვისა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი, აღარ გაიცემა უცხოელზე, რომელიც საქართველოში იმყოფება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნის ვიზის ან/და ბინადრობის ნებართვის ფლობის ფარგლებში.
- იცვლება მოთხოვნები მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ ნებართვა აღარ გაიცემა საქართველოს მოქალაქის სრულწლოვან შვილზე, ხოლო უცხოელი პირის შემთხვევაში მუდმივი ცხოვრების ნებართვა მიეცემა საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე 10 წლიანი (ნაცვლად 6 წლისა) ცხოვრების შემდგომ.
- მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიღებას შეძლებენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრე უცხოელი და მხოლოდ ამ პირის მეუღლე და შვილ(ებ)ი, ნაცვლად მისი ოჯახის წევრებისა.
- ბინადრობის ნებართვის საფუძვლების არსებობის შესამოწმებლად ნებართვის გამცემ ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება, გადაამოწმოს დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია, გავიდეს მითითებულ ადგილზე, დაათვალიეროს და გამოჰკითხოს პირები.

6. სამშენებლო სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები

საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტების პაკეტი 07-3/36/10, რომელიც მათ შორის ითვალისწინებს ცვლილებებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში. კანონპროექტი მოიცავს შეზღუდვებს ექსპლუატაციაში მიღების გარეშე შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. მათ შორის იკრძალება:

- შენობა-ნაგებობის ფუნქციონირება, ამ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ შესაბამისი აქტის გამოცემამდე.
- ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგება.
- არსებული რედაქციით კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული შეზღუდვები ძალაში შევა კანონის მიღებისთანავე, თუმცა არ გავრცელდება იმ ობიექტებზე, რომელებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა ამ კანონის ამოქმედებამდე.

კანონპროექტის ფარგლებში, ასევე, დგინდება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესი, რომელიც მოიცავს:

- იმ დარღვევების ჩამონათვალს, რომლის მიუხედავადაც შესაძლებელი იქნება ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში;
- დათქმას, თუ რომელ ობიექტებს შეეხება ექსპლუატაციაში მიღება;
- ვადას, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირს ექნება უფლება მიმართოს მუნიციპალიტეტს და დადგენილი წესით მოითხოვოს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმების/საურავებისაგან გათავისუფლების საკითხს, იმ სამართალდამრღვევი სუბიექტების მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაეკისრა პასუხისმგებლობა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე, ასევე, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხს იმ შემთხვევებზე, როდესაც სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ ასეთ პირთა მიმართ არ არის დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ან საქმის წარმოება დაწყებულია, თუმცა დადგენილება არ არის გამოტანილი. ზემოაღნიშნული არ ვრცელდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მომატებისათვის დაწესებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევებზე.

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის თანახმად დასჯადი ხდება მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა, რომელიც ჩადენილია ასეთი სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელ დადებული პირის მიერ.

7. გრძელდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ფუნდამენტური ცვლილებების შემცველი კანონპროექტის განხილვა

2020 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი საკომიტეტო მოსმენები. კანონპროექტის მიმართ დადებითი დასკვნები აქვს გაცემული იურიდიულ კომიტეტსა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, ხოლო სხვა სავალდებულო კომიტეტების დასკვნები ჯერ არ არის წარდგენილი.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის განხილვაში აქტიურად არის ჩართული საქართველოს ბიზნეს ასოციაცია და მასთან ერთად, იურიდიული კომპანია „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“. 2021 წლის 18 მარტს, კომპანიის მმართველი პარტნიორი, ლაშა ნოდია და უფროსი იურისტი გიორგი კეკენაძე შეხვდნენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარეს და მოახსენეს მათ საკუთარი პოზიციები კანონპროექტთან დაკავშირებით.

ახალი კანონის ამოქმედება იგეგმება 2021 წლის განმავლობაში. საყურადღებოა, რომ კანონპროექტის მიხედვით სამეწარმეო საზოგადობებს განესაზღვრებათ კანონის ამოქმედებიდან 2 წლიანი ვადა საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

8. აღსრულების ახალი კოდექსის პროექტი

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების ახალი კოდექსის პროექტი.

კოდექსის პროექტით განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- აღმასრულებელთა პალატის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა აღმასრულებელი;
- სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირების ინფორმირების წესი და პროცედურები;
- წარმომადგენლობის ინსტიტუტი სააღსრულებო წარმოებისას;
- სააღსრულებო შეთანხმება;
- სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი;
- მოვალის სათავსში შესვლის პროცედურა ყადაღადადებული მოძრავი ქონების გამოტანის მიზნით;
- მოძრავი და უძრავი ქონების დაყადაღებისა და შეფასების მარეგულირებელი სპეციალური წესები და სხვა.

„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ აქტიურად არის ჩართული კანონპროექტის განხილვის პროცესში. საქართველოს

ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში კომპანიის მმართველი პარტნიორი ლაშა ნოდია და უფროსი იურისტი მაკა თოდუა წარუდგენენ საქართველოს პარლამენტს შეჯერებულ პოზიციას კანონპროექტის ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში.

9. ჩუბჩიკა გადახდისუუნაჩობის საქმისწაჩმოების მიმაჩთუღებით გადაცემა „საქმიან ღიღაში“

2021 წლის 15 მარტიდან იურიდიული კომპანიამ „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ „ბიზნეს მედია საქართველოსთან (BMG)“ თანამშრომლობის ფარგლებში გადაცემა „საქმიან დილაში“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართულებით ახალ რუბრიკა დაიწყო. რუბრიკა მიზნად ისახავს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ახალი კანონის საზოგადოების ფართო მასისთვის გაცნობას.

კომპანიის მმართველი პარტნიორი, ლაშა ნოდია, იურისტები თამთა მარგველაშვილი და სოლომონ ბაღაშვილი სტუმრებთან ერთად ორ კვირაში ერთხელ მაყურებლისთვის გადახდისუუნარობის მიმართულებით ისეთ აქტუალურ და საინტერესო საკითხებს მიმოიხილავენ, როგორიცაა კრედიტორისა და მოვალის პერსპექტივიდან დანახული ფინანსური სიძნელეების გადაწყვეტის პერსპექტივები, ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესის თავისებურებები, გადახდისუუნარო მდგომარეობიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა და სხვა. რუბრიკის სტუმრები იქნებიან სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ბიზნეს ასოციაციები, პრაქტიკოსი იურისტები, გადახდისუუნარობის სფეროსთან დაკავშირებული პირები.

თითოეული გადაცემის წინ საზოგადოებას მიეცემა შესაძლებლობა საკუთარი კითხვა დააფიქსიროს განსახილველ თემასთან მიმართებით, როგორც BMG-ის მიერ განთავსებულ ანონსზე, ასევე, ჩვენი კომპანიის ბლოგსა და სოციალური ქსელებში. ამ საკითხებს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ სტუმრებთან ერთად აუცილებლად განიხილავს გადაცემის მსვლელობისას.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა კანონი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების მიმართულებით „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, რომელიც გადახდისუუნარობის პროცესის სრულიად ახალ მოწესრიგებას გვთავაზობს. საყურადღებოა, რომ მისი მოქმედება ვრცელდება 2021 წლის პირველი აპრილის შემდეგ დაწყებულ გადახდისუუნარობის საქმეებზე, ხოლო პირველ აპრილამდე სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველზე დაწყებულ საქმეებზე განაგრძობს მოქმედებას 2007 წლის „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ კანონი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS